

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი


სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით

საბიუჯეტო სახსრების მობილიზება

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის დაზუსტებული საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა შესრულებულია 100,6%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23860,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23997,3 ათ. ლარი, რაც 137,3 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

შემოსულობების პროცენტული შეფარდების

დიაგრამა 2022-2023 წწ. III კვარტალში



I. შემოსავლები

შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99,9%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23860,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 23831,2 ათ. ლარი, ანუ 28,8 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

მათ შორის:

1) გადასახადების გეგმა შესრულებულია 106,4 %-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11161,6 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 11873,9 ათ. ლარი, ანუ 712,3 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

- ქონების გადასახადების გეგმა შესრულებულია 98,3%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1139,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 1117,5 ათ. ლარი, 21,5 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

მათ შორის:

ა) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულებულია 99,3%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1082,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 1074,0 ათ. ლარი, ანუ 8,0 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.


გ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შემოვიდა 0,6 ათ. ლარი (გეგმა 0).

დ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გეგმა შესრულებულია 75,8 %-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 34,1 ათ. ლარი, ანუ 10,9 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.

დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის გეგმა შესრულებულია 74,1 %-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 8,9 ათ. ლარი, ანუ 3,1 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.

2) დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა შესრულებულია 107,3%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10022,6 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 10756,4 ათ. ლარი, ანუ 733,8 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

შემოსავლების პროცენტული შეფარდების
დიაგრამა 2022-2023წწ. III კვარტალში



3) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 92,2 %-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11547,8 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 10644,8 ათ. ლარი, რაც 903,0 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.

აქედან:


ა) მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 90,9 %-ით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 853,9 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 776,6 ათ. ლარი, რაც 77,3 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.

ბ) კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შესრულდა 92,1% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10485,9 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 9660,3 ათ. ლარი, რაც 825,6 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.

მათ შორის:

- სპეციალური ტრანსფერის გეგმა შესრულდა 82,4% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4110,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 3388,5 ათ. ლარი, რაც 721,5 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.
- კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შესრულდა 98,3% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5975,9 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 5871,8 ათ. ლარი, რაც 104,1 ათ. ლარით ნაკლებია გეგმაზე.
- სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმა შესრულდა 100% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 400,0 ათ. ლარი.

გრანტების პროცენტული შეფარდების
დიაგრამა 2022-2023 წწ. III კვარტალში




4) სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია 114,1%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1150,5 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1312,5 ათ. ლარი, რაც 162,0 ათ. ლარით მეტია გეგმაზე.

აქედან:

- პროცენტებიდან შემოსავალმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100,0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ 247,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 247,6 %-ია;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავლებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 101,0 ათ. ლარისა, შესრულებამ შეადგინა 110,9 ათ. ლარი, რაც გეგმის 109,8%-ია;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,8 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ 31,0 ათ. ლარი, რაც გეგმის 224,4 %-ია;
- ადგილობრივმა მოსაკრებელმა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37,5 ათ. ლარისა, შესრულებამ შეადგინა 43,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 116,5%-ია;
- სანებართვო მოსაკრებლიდან შემოსავალმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23,5 ათ. ლარისა შესრულებამ შეადგინა 24,6 ათ. ლარი, გეგმის 104,6 %-ია;
- შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,9 ათ. ლარისა შესრულებამ შეადგინა 36,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 527,4 %-ია;
- ჯარიმები, სანქციები და საურავების ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 770,3 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 792,6 ათ. ლარი, რაც გეგმის 102,9 %-ია;
- ტრანსფერები რომლებიც არ არის კლასიფიცირებული გეგმით გათვალისწინებული 37,5 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 25,7 ათ. ლარი, რაც გეგმის 68,5 %-ია;
- დივიდენდები გეგმა ითვალისწინებდა 60,0 ათ. ლარს, ფაქტი 0. ათ.

სხვა შემოსავლების პროცენტული შეფარდების
დიაგრამა 2022-202 წწ. III კვარტალში



5) არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა შეადგინა 166,0 ათ.ლარი (გეგმა 0)

საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის ხარჯები დარგობრივ ჭრილში.

I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (კოდი 7.1)

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3977,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3305,1 ათ. ლარი, ანუ დაფინანსდა 83,1%-ით.

მათ შორის:

7.1.1 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 3838,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3269,0 ათ. ლარი, ანუ დაფინანსდა 85,2%-ით.

7.1.1.1 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა- დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 3838,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3269,0 ათ. ლარი, ანუ დაფინანსდა 85,2%-ით;

7.1.6 ვალთან დაკავშირებული ოპერაციების გეგმა ითვალისწინებდა 44,2 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 36,1 ათ. ლარი, ანუ დაფინანსდა 81,7 %-ით;

II. თავდაცვა (კოდი 7.2)

7.2.5 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში (სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწევისა და და მობილიზაციის სამსახური) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 109,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 81,8 ათ. ლარი, დაფინანსდა 74,5%-ით.=

III. ეკონომიკური საქმიანობა (კოდი 7.4)

ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებები დაფინანსდა 89,0 %-ით, გეგმა ითვალისწინებდა 8167,6 ათ. ლარს, ხოლო დაფინანსებამ შეადგინა 7265,4 ათ. ლარს.

მათ შორის:

7.4.2 სოფლის მეურნეობა, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ღონისძიება (კოდი 02 04) გეგმა გათვალისწინებული იყო 8,4 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 2,2 ათასი ლარი, ანუ დაფინანსდა 25,6 %-ით ;

7.4.5 ტრანსპორტი, კერძოდ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვა (კოდი 02 01) გეგმა გათვალისწინებული იყო 7012,5 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 6514,3


ათასი ლარი, ანუ დაფინანსდა 92,9%-ით ;

7.4.7 ეკონომიკის სხვა დარგები, კერძოდ, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 03 04) გეგმა გათვალისწინებული იყო 77,5 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 22,5 ათასი ლარი, ანუ დაფინანსდა 29 %-ით;

7.4.9 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში გეგმა ითვალისწინებდა 1069,2 ათ. ლარს, შესრულებამ შეადგინა 726,4 ათასი ლარი, ანუ დაფინანსდა 67,9 %-ით;

მათ შორის:

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 05) გეგმა გათვალისწინებული იყო 480,0 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 397,2 ათ.ლარი, ანუ 82,7 %.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10) გეგმა გათვალისწინებული 359,2 იყო ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 126,4 ათ.ლარი, ანუ 35,1%.
- რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (კოდი 02 12) გეგმა ითვალისწინებდა 230,0 ათ. ლარს, შესრულებამ შეადგინა 202,8 ათასი ლარს, ანუ დაფინანსდა 88,2%-ით;



IV. გარემოს დაცვა (კოდი 7.5)

გარემოს დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 4426,4 ათ. ლარით, გეგმა ითვალისწინებდა 5642,5 ათ. ლარს, ანუ 78,4 %-ი.


აქედან:

7.5.1 ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება (ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი კოდი 03 01) გეგმა იყო 841,0 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 642,4 ათ.ლარი , ანუ 76,4%.

7.5.6 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში გეგმა ითვალისწინებდა 4801,5 ათ. ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 3784,0 ათ.ლარი, ანუ 78,8%.

მათ შორის:

- ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02) გეგმა იყო 467,5 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 268,4 ათ.ლარი, ანუ 57,4 %.
- უმეტესაწესრიგოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი კოდი 03 03) გეგმა გათვალისწინებული იყო 15,0 ათ. ლარი, თანადაფინანსება 11,9 ათ.ლარი, ანუ 79,3%.
- სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 08) გეგმა იყო 4319,0 ათ. ლარი, დაფინანსდა 3503,7 ათ.ლარი, ანუ 81,1 %.



V. საბინაო - კომუნალური მეურნეობა (კოდი 7. 6)

7.6 საბინაო - კომუნალური მეურნეობა დაფინანსდა 3223,9 ათ. ლარით, გეგმა ითვალისწინებდა 3733,0 ათ.ლარს, ანუ 86,4% .

მათ შორის:


7.6.1 ბინათმშენებლობა პროგრამული კოდი 02 03) გეგმა ითვალისწინებდა 209,6 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 200,3 ათ. ლარი, ანუ 95,6 % -ი.

7.6.4 გარე განათება, კერძოდ, გარე განათების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02) გეგმა ითვალისწინებდა 998,8 ათ.ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 835,5 ათ. ლარი, ანუ 83,6 % - ით დაფინანსდა.

7.6.6 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში გეგმა ითვალისწინებდა 2524,6 ათ.ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2188,1 ათ. ლარი, ანუ 86,7 % -ით დაფინანსდა.

მათ შორის:

- კეთილმოწყობის ღონიძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 06) გეგმა ითვალისწინებდა 2377,1 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 2108,4 ათ. ლარი, ანუ 88,7%.
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 07) გეგმა ითვალისწინებდა 94,5 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 77,3 ათ. ლარი, ანუ 81,8% .
- სამოქალაქო ბიუჯეტირება (პროგრამული კოდი 02 11) გეგმა ითვალისწინებდა 53,0 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 2,4 ათ. ლარი, ანუ 4,5% .



VI. ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 7.7)

7.7 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 588,9 ათ. ლარით, გეგმა ითვალისწინებდა 650,4 ათ. ლარს, ანუ 90,5%-ი,


მათ შორის:

7.7.1 სამედიცინო პროდუქცია, კერძოდ, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 03) გეგმა ითვალისწინებდა 70,0 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 68,6 ათ. ლარი, ანუ 98,0 % .

7.7.2 ამბულატორიული მომსახურება (დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა 06 01 04) გეგმა ითვალისწინებდა 6,0 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 0.

7.7.3 საავადმყოფოების მომსახურება, კერძოდ, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი კოდი 06 01 02) გეგმა ითვალისწინებდა 380,0 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 343,1 ათ. ლარი, ანუ 90,3% .

7.7.4 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01) გეგმა ითვალისწინებდა 194,4 ათ.ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 177,2 ათ. ლარი, ანუ 91,2% .



VII . დასვენება, კულტურა და რელიგია (კოდი 7.8)

7.8 დასვენება, კულტურა და რელიგიის გეგმა შეადგენდა 3227,7 ათ.ლარს, დაფინანსდა 2574,9 ათ.ლარით, 79,8%-ი,

მათ შორის:

7.8.1 მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში გეგმა შეადგენს 1054,9 ათ ლარს, დაფინანსდა 920,4 ათ.ლარით ანუ 87,2%.

მათ შორის:

- სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა, კერძოდ, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01) – 532,5 ათ.ლარით (გეგმა იყო 538,6 ათ.ლარი) ანუ 98,9%.
- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, კერძოდ, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის განვითარების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 01 02) – დაფინანსდა 266,9 ათ.ლარით (გეგმა იყო 307,0 ათ.ლარი) ანუ 86,9%.
- სპორტული ღონისძიებების პროგრამა (კოდი 05 01 03) დაფინანსდა 18,6 ათ.ლარით (გეგმა 36,8 ათ.ლარი) ანუ 50,5 %.
- სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (კოდი 05 01 04) დაფინანსდა 102,5ათ.ლარით (გეგმა 172,5 ათ.ლარი) ანუ 59,4 %.

7.8.2 მომსახურება კულტურის სფეროში

მომსახურება კულტურის სფეროში გეგმა შეადგენდა 1425,6 ათ ლარს, დაფინანსდა 1363,0 ათ.ლარით ანუ 95,6%.

აქედან:

- მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა „ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 01) დაფინანსდა შეადგენდა 614,7 ათ.ლარით, გეგმა 666,2 ათ.ლარს, ანუ 92,3%-ით;

- ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა, კერძოდ, ა(ა)იპ. „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“ (კოდი 05 02 02) დაფინანსდა 324,8 ათ.ლარით, გეგმა შეადგენდა 325,0 ათ.ლარს, ანუ 99,9%;
- კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 05) გეგმა განსაზღვრული იყო 434,4 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგენდა 423,5 ათ.ლარს, ანუ 97,5%;

7.8.3 ტელემაუწყებლობა და საგამომცემლო საქმე

საინფორმაციო უზრუნველყოფა (შპს საინფორმაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06)) გეგმა 38,9 ათ.ლარი, დაფინანსდა 38,9 ათ.ლარით, ანუ 100%-ით.


7.8.4 რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის გეგმა განსაზღვრული იყო 100,0 ათ. ლარით, შესრულება 100,0 ათ.ლარით, ანუ 100%-ით.

7.8.6 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში გეგმა განსაზღვრული იყო 608,3 ათ. ლარით, დაფინანსებამ შეადგენდა დაფინასებამ შეადგენდა 152,6 ათ.ლარს, ანუ 25,1%;

მათ შორის:

- კულტურული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04) გეგმა განსაზღვრული იყო 580,7 ათ. ლარით, დაფინასებამ შეადგენდა 137,9 ათ.ლარს, ანუ 23,7%.
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (კოდი 05 03) გეგმა შეადგენდა 27,6 ათ.ლარს, დაფინასებამ შეადგენდა 14,7 ათ.ლარს, ანუ 53,3%.



VIII. განათლება (კოდი 7.9)

7.9 განათლება დაფინანსდა 93,6%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2718,3 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 2545,5 ათ.ლარი.

მათ შორის:


7.9.1 სკოლამდელი აღზრდა, კერძოდ, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01) დაფინანსდა 96,4 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 1998,4 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1926,0 ათ.ლარი.

7.9.2 ზოგადი განათლება, კერძოდ, საჯარო სკოლების დაფინანსება (მასწავლებლების და მოსწავლეების ტრანსპორტით უფასო მომსახურებაზე დახმარება (პროგრამული კოდი 04 02) დაფინანსდა 86,9 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 641,6 ათ. ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 557,5 ათ.ლარი;

7.9.8 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში, კერძოდ, განათლების ღონისძიებების პროგრამა (კოდი 04 04) დაფინანსდა 79,2 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 78,3 ათ.ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 62,0 ათ.ლარი;

მათ შორის:

- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 06) დაფინანსდა 65,6 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 9,0 ათ.ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5,9 ათ.ლარი;
- განათლების ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04) დაფინანსდა 80,9 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 69,3 ათ.ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56,1 ათ.ლარი.



IX. სოციალური დაცვა (კოდი 7.10)

7.10 სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები განსაზღვრული იყო 897,0 ათ. ლარით, ხოლო დაფინანსებამ 790,1 ათ. ლარი, ანუ გეგმის 88,1%.

მათ შორის:

7.10.1 ავადმყოფთა და შესლუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური დაცვა (თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)) გეგმა განსაზღვრული იყო 45,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 40,4 ათ.ლარი, ანუ 89,8%-ი,

7.10.4 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა გეგმა განსაზღვრული 223,5 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 195,6 ათ.ლარი, ანუ 87,5%-ით.


მათ შორის:

- მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02) გეგმა განსაზღვრული იყო 193,5 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 179,6 ათ.ლარი, ანუ 92,8% -ით;
- ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03) გეგმა განსაზღვრული იყო 30,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 16,0 ათ.ლარი, ანუ გეგმის 71,8%-ით;

7.10.9 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო გეგმით 628,5 ათ.ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 554,1 ათ.ლარი, ანუ 88,2%-ი;


- ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი“, კერძოდ, მზრუნველობამოკლებულთა კვების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01) გეგმა განსაზღვრული იყო 272,7 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 252,8 ათ.ლარი, ანუ 92,7%;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04) გეგმა განსაზღვრული 14,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 10,5 ათ.ლარი, ანუ 75,0 %;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05) გეგმა განსაზღვრული იყო 54,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 38,8 ათ.ლარით, ანუ 71,8%-ით დაფინანსდა;
- ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06) გეგმა განსაზღვრული იყო 30,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 23,0 ათ.ლარი, ანუ 76,7%.
- სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07) გეგმა განსაზღვრული იყო 30,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 26,8 ათ.ლარი, ანუ 89,3 % -ი.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08) გეგმა განსაზღვრული 82,5 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 71,8 ათ.ლარი, ანუ გეგმის 87,0 %-ით;
- სოციალური ღონისძიების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09) გეგმა განსაზღვრული იყო 53,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 39,4 ათ.ლარი, ანუ 74,3%.

- დღის ცენტრი აიპ „ლაზარე 2015“ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 12) გეგმა განსაზღვრული იყო 6,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 6,0 ათ.ლარით, ანუ 100%-ით დაფინანსდა;
- პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 13) გეგმა განსაზღვრული იყო 28,2 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 28,1 ათ.ლარით, ანუ 99,6%-ით დაფინანსდა;
- პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 14) გეგმა განსაზღვრული იყო 58,0 ათ.ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 57,0 ათ.ლარით, ანუ 98,1%-ით დაფინანსდა;



სულ 2023 წლის III კვარტალში სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა შეადგენდა 14648,5 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 13000,2 ათ. ლარი, ანუ 88,7 %.

ხარჯების პროცენტული შეფარდების
დიაგრამა 2022-2023წწ. III კვარტალში



საოპერაციო სალდო: გეგმით 9211,4 ათ.ლარი, საკასო შესრულება 10831,1 ათ.ლარი. არაფინანსური აქტივების ცვლილება: გეგმით შეადგენდა 14449,7 ათ.ლარს, საკასო შესრულება 11610,1 ათ.ლარია, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა (გეგმა 14449,7 ათ.ლარი; საკასო შესრულება 11776,2 ათ.ლარი), ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (გეგმა 0 ათ.ლარი; საკასო შესრულება 166,0 ათ.ლარი),


მთლიანი სალდო (გეგმით - 5238,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება - 779,0 ათ.ლარი)
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლების გეგმა -5263,9 ათ.ლარი, საკასო შესრულება 804,7 ათ.ლარი)
ვალდებულების ცვლილება (კლება გეგმა -25,7 ათ.ლარი; საკასო შესრულება -25,7 ათ.ლარი)

2023 წლის III კვარტალში გადასახდებელი მუხლობრივ ჭრილში

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლი დაფინანსებულია 98,0%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2282,4 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 2237,5 ათ.ლარი შეადგინა;
- „საქონელი და მომსახურების“ მუხლი დაფინანსებულია 79,1 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2137,8 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 1690,7 ათ. ლარი შეადგინა;
- „პროცენტის“ მუხლი დაფინანსებულია 59,7%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 17,5 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 10,4 ათ. ლარი შეადგინა;
- „სუბსიდიების“ მუხლი დაფინანსებულია 88,6 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 6922,9 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 6131,4 ათ.ლარი შეადგინა;

- „გრანტების“ მუხლის გეგმა განისაზღვრა 52,5 ათ.ლარი, დაფინანსებამ 52,5 ათ. ლარი შეადგინა, დაფინანსებულია 100 %-ით,
- „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი დაფინანსებულია 86,6 %-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 947,2 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 820,2 ათ. ლარი შეადგინა;
- „სხვა ხარჯების“ მუხლი დაფინანსებულია 89,9%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2288,2 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 2057,5 ათ. ლარი შეადგინა;
- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმა განსაზღვრული იყო 14449,7 ათ. ლარი, დაფინანსდა 11776,2 ათ. ლარით, ანუ 81,5%-ით.
- ვალდებულების კლების გეგმა განსაზღვრული იყო 25,7 ათ.ლარი, დაფინანსდა 25,7 ათ.ლარი, ანუ 100%-ით.

**გადასახდელების დაფინანსება მუხლობრივ ჭრილში
(ათ.ლარებში)**



საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა საშტატო რიცხოვნობა 2023 წლის 1 ოქტომბრისათვის გეგმით შეადგენდა 158 საშტატო ერთეულს, ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობა 149 საშტატო ერთეული.

2023 წლის 1 ოქტომბრისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელფასო დავალიანება არ გვერიცხება.
2023წლის 1 ოქტომბრისათვის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებების საფუძველზე გამოყოფილია 4,9 ათ.ლარი (მ/წელის 11-13 იანვარში სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის სახურავების მშენებლობის დაწყებამდე ბრეზენტის ტენტით გადასახურად გამოიყო 1,0(ერთი ათასი) ათ.ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე რიონზე მოძრავი ბორანის მეზორნეებისა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, შესყიდული იქნა სამაშველო კამერა და ჟილეტი 1,925 (ერთი ათას ცხრაასოცდახუთი) ათ.ლარის; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული წერილს საფუძველზე, მოქალაქე მუშიკო ჩიჩუას დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით გამოიყო 0,5 (ხუთასი) ათ.ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ჟანგბადის აპარატის- კონცენტრატორის შეძენისათვის გამოიყო 1,5(ერთი ათას ხუთასი) ათ. ლარი).

2023 წლის 1 ოქტომბრისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხება:

კრედიტორული დავალიანება 451,1 ათ.ლარი, მათ შორის: შპს თი აი ჯი აუდიტექსკორტი 15,0 ათ.ლარი, ი/მ „ველოდი სანაია“ 8,5 ათ.ლარი, ი/მ ელდარ ჯოჯუა 2,6 ათ.ლარი; შპს პირამიდა 12,8 ათ.ლარი, შპს „სარგი“ 2,1 ათ.ლარი, შპს „ჯი-ემი“ 2,2 ათ.ლარი, შპს „ტოტალი“ 9,3 ათ.ლარი, შპს „ჯეო ბილდერი“ 3,0 ათ.ლარი, შპს „ლელო“ 2,0 ათ.ლარი, ი/მ „ელდარ კოტია“ 0,4 ათ.ლარი, შპს „ბერდე“ 2,3 ათ.ლარი, შპს „ბილდერი“ 0,4 ათ.ლარი, შპს „მენათი“ 43,9 ათ.ლარი, ი/მ „გამზა როყვა“ 0,2 ათ.ლარი, შპს „ვერბალ გრუპი“ 14,1 ათ.ლარი, სს არქეოპოლისი 222,5 ათ.ლარი, შპს „კონტინენტალ ინვესტი“ 1,0 ათ.ლარი, შპს „ტოკი“ 0,8 ათ.ლარი, შპს „ბერალი“ 0,8 ათ.ლარი, შპს „აფო“ 48,6 ათ.ლარი, შპს „მშენებელი“ 3,0 ათ.ლარი, შპს „ჯიქ მშენებელი“ 0,8 ათ.ლარი, შპს „კა“ 2,6 ათ.ლარი, შპს „კოლხიდა“ 18,2 ათ.ლარი, შპს „ველმირი“ 1,0 ათ.ლარი, შპს „სერვისი“ 4,9 ათ.ლარი, შპს „თვინსი“ 6,2 ათ.ლარი, შპს „ჯეოექსპერტი“ 5,1 ათ.ლარი, საკრებულოს უფლებამოსილების წევრების ხარჯი 8,7 ათ.ლარი, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი 0,7 ათ.ლარი, ი/მ „თეონა მესხიშვილი“ 1,3 ათ.ლარი, ი/მ „ნინო დიდიშვილი“ 0,2 ათ.ლარი, შპს ტელეკომპანია „ვერისი“ 0,5 ათ.ლარი; ი/მ „გენადი ჯოლია“ 0,3 ათ.ლარი, სანიტარული დახმარება 0,3 ათ.ლარი, სოციალური ღონისძიებების პროგრამა 0,1 ათ.ლარი, შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი 2,0 ათ.ლარი, შპს დავით დავარაშვილის კლინიკა 0,8 ათ.ლარი, შპს იბერი ფარმა 0,1 ათ.ლარი, სს „გეფა“ 1,3 ათ.ლარი, შპს პანაცეა 0,1 ათ.ლარი, შპს ავერსის კლინიკა 0,2 ათ.ლარი,

დებიტორებია: შპს „თვინსი“ 4,0 ათ.ლარი, შპს „ტაინა“ 16,9 ათ.ლარი, შპს „მშენებელი“ 46,9 ათ.ლარი, შპს „დინგრუპი“ 10,2 ათ.ლარი, შპს „ინდიკო“ 23,4 ათ.ლარი, შპს „კონტინენტალ ინვესტი“ 23,3 ათ.ლარი, შპს დინ გრუპი 549,6 ათ.ლარი, ათ.ლარი, შპს ვერ- გრუპი 51,0 ათ.ლარი, ა(ა)იპ შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“ 19,0 ათ.ლარი, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 11,7 ათ.ლარი, ააიპ სამეგრელო ზემო-სვანეთის დანიშნულების მარვთის ორგანიზაცია 7,5 ათ.ლარი, სსიპ სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია 100,0 ათ.ლარი, ააიპ კავშირი საქ ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია 2,7 ათ.ლარი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტო 0,2 ათ.ლარი, ი/მეწარმე სოსო გოგია 17,4 ათ.ლარი, შპს „აფო“ 104,3 ათ.ლარი, სულ
დებიტორებია 988,1 ათ.ლარი.

2023 წლის 1 ოქტომბრისათვის გვერიცხება ფულადი სახსრების 5035,3 ათ. ლარის ოდენობით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე



ზადრი ქუთელია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



დონარა ალანია